

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №349

2025 წლის 12 აგვისტო

ქ. თბილისი

**წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემის საფუძველზე ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ**

### მუხლი 1

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 54<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს თანდართული „წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემის საფუძველზე ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებისა და რეგულირების წესი“.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 15 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

**წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემის საფუძველზე ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებისა და რეგულირების წესი**

### მუხლი 1. წესის მიზანი

„წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემის საფუძველზე, ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებისა და რეგულირების წესის“ (შემდგომ - წესი) მიზანია, ვერცხლისწყლის ანთროპოგენური გაფრქვევებისა და გაჟონვებისგან ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით, „ვერცხლისწყლის შესახებ მინამატის კონვენციის“ მოთხოვნების შესაბამისად:

ა) ვერცხლისწყლის და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის, ასევე საწარმოო პროცესების (რომლებშიც ვერცხლისწყალი ან ვერცხლისწყლის ნაერთები გამოიყენება) სამართლებრივი რეგულირება;

ბ) ვერცხლისწყლის და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების მართვის სფეროში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს და მისი კომპეტენციის განსაზღვრა;

გ) ვერცხლისწყლის და ვერცხლისწყლით გამდიდრებული ცალკეული პროდუქტების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხოდ გამოყენების ხელშეწყობა.

### მუხლი 2. რეგულირების სფერო

წესის რეგულირების სფეროს განეკუთვნება:

ა) ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებისთვის წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემის პროცედურა;

ბ) ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტები, რომელთა წარმოება, ექსპორტი და იმპორტი შეზღუდულია;



გ) საწარმოო პროცესები, რომლებშიც ვერცხლისწყლის ან ვერცხლისწყლის ნაერთების გამოყენება აკრძალულია.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ვერცხლისწყალი – ელემენტური ვერცხლისწყალი (Hg (0), CAS No. 7439-97-6, სეს ესნ 280540);

ბ) ვერცხლისწყლის ნაერთი – ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც შედგება ვერცხლისწყლის ატომებისგან და სხვა ქიმიური ნივთიერებების ერთი ან მეტი ატომისგან, რომლებიც შეიძლება დაშლილი იქნეს სხვადასხვა კომპონენტებად მხოლოდ ქიმიური რეაქციების საშუალებით;

გ) ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტი – პროდუქტი ან პროდუქტის კომპონენტი, რომელიც შეიცავს განზრახ დამატებულ ვერცხლისწყალს ან ვერცხლისწყლის ნაერთს;

დ) კონვენცია – 2013 წლის 10 ოქტომბრის „ვერცხლისწყლის შესახებ კონვენცია“;

ე) დანიშნული ეროვნული ორგანო – სახელმწიფო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, შეასრულოს კონვენციით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ფუნქციები ვერცხლისწყლის და ვერცხლისწყლით გამდიდრებულ პროდუქტებთან დაკავშირებით;

ვ) ნებადართული გამოყენება – ვერცხლისწყლის ან ვერცხლისწყლის ნაერთის ნებისმიერი გამოყენება ამ წესისა და კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) შუალედური შენახვა – ვერცხლისწყლის და ვერცხლისწყლის ნაერთების შენახვა, რომელიც განკუთვნილია ამ წესით და კონვენციით ნებადართული გამოყენებისთვის და ხორციელდება მდგრადად, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, კონვენციის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

თ) ექსპორტიორი სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლიდანაც ხორციელდება ვერცხლისწყლის ან/და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტის ექსპორტი;

ი) იმპორტიორი სახელმწიფო – სახელმწიფო, რომელშიც ხორციელდება ვერცხლისწყლის ან/და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტის იმპორტი;

კ) იმპორტი – ვერცხლისწყლის ან/და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა, გარდა ტრანზიტისა;

ლ) ექსპორტი – ვერცხლისწყლის ან/და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა, გარდა ტრანზიტისა;

მ) ტრანზიტი – ვერცხლისწყლის ან/და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტის უცხო ქვეყნებს შორის ან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით;

ნ) სეს ესნ – საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა;

ო) შემოსავლების სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.

### მუხლი 4. დანიშნული ეროვნული ორგანო

1. საქართველოში ვერცხლისწყლის და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო).



2. სამინისტრო უზრუნველყოფს კონვენციის სამდივნოსთვის კონვენციის დებულებების განხორციელებისთვის მიღებული ზომების შესახებ ანგარიშის მიწოდებას, კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

3. ამ წესით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს, საქართველოში ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტთან, ექსპორტსა და ტრანზიტთან დაკავშირებით ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

4. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში ვერცხლისწყლის იმპორტისა, ექსპორტის და ტრანზიტის განხორციელებაზე წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემა;

ბ) ვერცხლისწყლის ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის მონაცემთა ბაზის შექმნა და წარმოება.

## **მუხლი 5. ვერცხლისწყლის რეგულირება**

1. ამ მუხლის მიზნებისთვის ვერცხლისწყალი მოიცავს ვერცხლისწყლის სხვა ნივთიერებებთან ნარევებს, მათ შორის, ვერცხლისწყლის შენადნობებს, სადაც ვერცხლისწყლის კონცენტრაცია, სულ ცოტა, 95 პროცენტია წონის მიხედვით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ვერცხლისწყლის ექსპორტის, იმპორტისა და ტრანზიტის მარეგულირებელი დებულებები (წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურა) არ ვრცელდება არაუმეტეს 2 კგ ვერცხლისწყლის რაოდენობაზე, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო და ლაბორატორიული კვლევებისთვის ან როგორც მისათითებელი სტანდარტი (ეტალონი).

3. ვერცხლისწყლის ექსპორტი დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ექსპორტი ხორციელდება კონვენციის მხარე სახელმწიფოში, რომელმაც სააგენტოს მიაწოდა წერილობითი თანხმობა და ამასთან:

ა.ა) იმპორტიორი სახელმწიფო ვერცხლისწყალს გამოიყენებს მხოლოდ ნებადართული გამოყენების მიზნით;

ა.ბ) გარემოს დაცვის თვალსაზრისით მიზანშეწონილი შუალედური შენახვისთვის, კონვენციის შესაბამისად;

ბ) ექსპორტი ხორციელდება კონვენციის არაწევრი მხარის სახელმწიფოში, რომელმაც სააგენტოს მიაწოდა წერილობითი თანხმობა, მათ შორის, იმის დადასტურება, რომ:

ბ.ა) სახელმწიფოში არსებობს შესაბამისი ღონისძიებები ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დასაცავად და ასეთი დაცვის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

ბ.ბ) ვერცხლისწყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ ნებადართული გამოყენების მიზნით, ან გარემოს დაცვის თვალსაზრისით მიზანშეწონილი შუალედური შენახვისთვის, კონვენციის შესაბამისად.

4. ვერცხლისწყლის იმპორტი აკრძალულია კონვენციის არაწევრი მხარის სახელმწიფოდან, თუ ეს სახელმწიფო სააგენტოს არ მიაწვდის იმის დადასტურებას, რომ ვერცხლისწყალი არ არის წარმოშობილი იმ წყაროებიდან, რომლებიც არ არის დაშვებული კონვენციით.

5. ვერცხლისწყლის ტრანზიტი აკრძალულია კონვენციის არაწევრი მხარის სახელმწიფოდან ან/და კონვენციის არაწევრი მხარის სახელმწიფოში, თუ კონვენციის არაწევრი მხარე სახელმწიფო სააგენტოს არ მიაწვდის იმის დადასტურებას, რომ ვერცხლისწყალი არ არის წარმოშობილი იმ წყაროებიდან, რომლებიც არ არის დაშვებული კონვენციით და ვერცხლისწყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ წესით და კონვენციით ნებადართული გამოყენების მიზნით, ან გარემოს დაცვის თვალსაზრისით მიზანშეწონილი შუალედური შენახვისთვის.



6. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში ვერცხლისწყლის ექსპორტი, იმპორტი და ტრანზიტი შეიძლება განხორციელდეს ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად გაცემული წინასწარი დასაბუთებული თანხმობის საფუძველზე.

## **მუხლი 6. ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების რეგულირება**

1. აკრძალულია ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების წარმოება, იმპორტი, ექსპორტი. აკრძალვის თარიღები მითითებულია დანართ №1-ში და წარმოადგენს კონვენციით გათვალისწინებულ თარიღებს, რომელთა შემდეგაც პროდუქტების წარმოება, ექსპორტი და იმპორტი აღარ დაიშვება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება ვერცხლისწყლით გამდიდრებულ შემდეგ პროდუქტებზე:

ა) სამოქალაქო თავდაცვისა და სამხედრო გამოყენებისთვის აუცილებელი პროდუქტები;

ბ) კვლევისა და ინსტრუმენტების კალიბრაციისთვის საჭირო პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება როგორც მისათითებელი სტანდარტი;

გ) გადამრთველები და რელები, ლუმინისცენტური ნათურები ცივი კათოდით, გარე განათების ელექტროდული ნათურები (CCFL და EEFL), თუ ხელმისაწვდომი არ არის შესაბამისი შემცველი ალტერნატივები, რომლებიც არ შეიცავს ვერცხლისწყალს;

დ) ტრადიციულ და რელიგიურ საქმიანობაში გამოყენებული პროდუქტები;

ე) ვაქცინები, რომლებიც შეიცავს თიომერსალს როგორც დამცავ საშუალებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის და ექსპორტის განსახორციელებლად დაინტერესებულმა პირმა შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს აღნიშნული პროდუქტების ამავე პუნქტით განსაზღვრული მიზნობრივი გამოყენების ან/და დანიშნულების დამადასტურებელი დოკუმენტი (მათ შორის, მიზნობრიობის/დანიშნულების სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

## **მუხლი 7. საწარმოო პროცესების რეგულირება, რომლებშიც ვერცხლისწყალი ან ვერცხლისწყლის ნაერთები გამოიყენება**

აკრძალულია ვერცხლისწყლის ან ვერცხლისწყლის ნაერთების გამოყენება შემდეგ საწარმოო პროცესებში:

ა) ქლოროვან-ტუტოვანი წარმოება;

ბ) აცეტალდეჰიდის წარმოება, სადაც ვერცხლისწყალი ან ვერცხლისწყლის ნაერთები გამოიყენებულია როგორც კატალიზატორები;

გ) ვინილქლორიდის მონომერების წარმოება;

დ) ნატრიუმის ან კალიუმის მეთილირება ან ეთილირება;

ე) პოლიურეთანის წარმოება, სადაც გამოიყენება ვერცხლისწყლის შემცველი კატალიზატორები.

## **მუხლი 8. ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტისთვის წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემა**

1. ვერცხლისწყლის იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი, ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში და მიზნით, შეიძლება განხორციელდეს სააგენტოს მიერ გაცემული წინასწარი დასაბუთებული თანხმობის



(შემდგომ – თანხმობა) საფუძველზე, ამ მუხლის შესაბამისად.

2. ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის ან ტრანზიტის განსახორციელებლად დაინტერესებულმა პირმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნების მიხედვით შედგენილი წერილობითი განაცხადი. განაცხადი ასევე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის ან ტრანზიტის მიზანი (ნებადართული გამოყენება);

ბ) ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის ან ტრანზიტის განხორციელების სავარაუდო ვადების;

გ) იმპორტიორის/ექსპორტიორის/ტრანზიტის განმახორციელებელის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი);

დ) იმპორტიორი ქვეყნის და იმპორტიორი კომპანიის საქმიანობის შესახებ;

ე) ნივთიერების დასახელება, „ეს ესნ“ კოდი, საერთაშორისო სარეგისტრაციო (CAS) ნომერი, შემადგენლობა, რაოდენობა, ფიზიკური მდგომარეობა, გამოყენების სახე, მონაცემები ტვირთის კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების/ნიშანდების შესახებ;

ვ) შეფუთვის სახეობა და რაოდენობა;

ზ) სატრანსპორტო საშუალების სახეობა (საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო, საგზაო) და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი;

თ) წარმოშობის სერტიფიკატი;

ი) ხარისხისა და შესაბამისობის სერტიფიკატები;

კ) უსაფრთხოების სერტიფიკატი (SDS);

ლ) ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის მოწმობის ასლი;

მ) ხელშეკრულების ასლი იმ პირთან, რომელიც წარმოადგენს ვერცხლისწყლის შემსყიდველ მხარეს.

3. თანხმობა სააგენტოს მიერ გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, 15 სამუშაო დღის ვადაში, ერთი წლის ვადით. თანხმობის ვადის ამოწურვამდე ვერცხლისწყლის იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი უნდა განხორციელდეს ერთჯერადად.

4. სააგენტოს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, თანხმობის მიღებით დაინტერესებულ პირს მოთხოვოს ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვის სრულყოფილი შემოწმებისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

5. თანხმობის ფორმა განსაზღვრულია №2 დანართით (ვერცხლისწყლის იმპორტზე, ექსპორტზე და ტრანზიტზე თანხმობის ფორმა). თანხმობა გაიცემა 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სააგენტოში, ხოლო ორი გადაეცემა განმცხადებელს.

6. სააგენტო აწარმოებს გაცემული თანხმობების უწყებრივ რეესტრს.

7. თანხმობის ფორმის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში გაიცემა დუბლიკატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. თანხმობის გაცემაზე უარის გასაჩივრების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

9. დაინტერესებული პირის მიერ ვერცხლისწყლის იმპორტის/ტრანზიტის განსახორციელებლად



## **მუხლი 9. ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის რეესტრი**

სააგენტომ უნდა უზრუნველყოს თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ გადაწყვეტილებების და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის (მ.შ. სახელმწიფოების წერილობითი თანხმობები, მიღებული პასუხები, უარი ვერცხლისწყლის ექსპორტზე/იმპორტზე/ტრანზიტზე) შენახვა თანხმობის უწყებრივ რეესტრში.

## **მუხლი 10. ვერცხლისწყლის შეფუთვა და ეტიკეტირება**

1. ამ წესის შესაბამისად ტრანსპორტირებული ვერცხლისწყალი ექვემდებარება შეფუთვისა და ეტიკეტირებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (UN GHS) შესაბამისად ან ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს იმპორტიორი მხარის სპეციფიკური მოთხოვნები, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები და საჭიროების შემთხვევაში – სხვა დამატებითი ინფორმაცია.

2. ეტიკეტზე უნდა იყოს მითითებული ვარგისიანობის ვადა და გამოშვების თარიღი, აუცილებლობის შემთხვევაში.

3. ვერცხლისწყალს ტრანსპორტირებისას თან უნდა ახლდეს უსაფრთხოების სერტიფიკატი (SDS), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (UN GHS) შესაბამისად, ან ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით. ექსპორტიორმა უსაფრთხოების სერტიფიკატი (SDS) უნდა დაუგზავნოს თითოეულ იმპორტიორს.

4. ეტიკეტსა და უსაფრთხოების სერტიფიკატში (SDS) ასახული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს კონვენციის ოფიციალურ ენებზე ან ერთ ან რამდენიმე ძირითად ენაზე, დანიშნულების ქვეყნის შესაბამისად.

## **მუხლი 11. ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის კონტროლი**

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების გადაადგილების საბაჟო კონტროლს ახორციელებს შემოსავლების სამსახური.

2. ვერცხლისწყლის იმპორტისას, ექსპორტისას ან ტრანზიტისას იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა.

3. შემოსავლების სამსახურის მიერ ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის კონტროლი ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი თანხმობის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ავტომატიზებული ბაზების მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემაზე დაყრდნობით.

4. თანხმობის პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, შემოსავლების სამსახური მას დაუყოვნებლივ წარუდგენს ინფორმაციას ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის საბაჟო ფორმალობების დასრულების შესახებ.

5. ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტი და ექსპორტი ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, „სეს ესნ“ კოდეხის საფუძველზე.

6. ამ წესის დარღვევით საქართველოს საბაჟო საზღვარზე ვერცხლისწყლისა ან ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტის გადაადგილებისას, ასევე, როდესაც ვერ ხერხდება ვერცხლისწყლის ან



ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტის იდენტიფიცირება რისკის შეფასების გათვალისწინებით, სამინისტროსთან შეთანხმებით, საქონელი ექვემდებარება საბაჟო ტერიტორიიდან გატანას (უკან გაბრუნებას) ან განადგურებას, იმპორტიორის/ექსპორტიორის/ტრანზიტის განმახორციელებლის ხარჯით.

7. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ვერცხლისწყლის გადაადგილების საბაჟო კონტროლის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურისათვის ელექტრონული ფორმით მიწოდებას.

**მუხლი 12. ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების ნარჩენების რეგულირება**

ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების ნარჩენების ბრუნვის სფერო რეგულირდება „ნარჩენების მართვის კოდექსით“, „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციისა და „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონმდებლობით.

**მუხლი 13. პასუხისმგებლობა დადგენილების დარღვევისათვის**

ამ წესით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

**დანართი №1**

**ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტები, რომელთა წარმოება, იმპორტი და ექსპორტი აკრძალულია**

ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტები (ვგპ)	აკრძალვის ამოქმედების წელი (კონვენციის მიხედვით)	სეს ესნ-ის კოდი	ვგპ-ს აღწერა
		8506 10 110 00	ტუტე მანგანუმის დიოქსიდის გალვანური ელემენტი
		8506 10 180 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8506 10 910 00	(სხვა) მანგანუმის დიოქსიდის გალვანური ელემენტები
		8506 10 980 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8506 10 110 00	
		8506 10 180 00	მანგანუმის დიოქსიდი ბატარეები



1. აკუმულატორები, გარდა თუთია-ვერცხლის ოქსიდის ლილაკ-აკუმულატორებისა, ვერცხლისწყლის შემცველობით < 2 % და თუთია-ჰაერის ლილაკ-აკუმულატორებისა, ვერცხლისწყლის შემცველობით < 2 %;

2020

8506 10 910 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
8506 10 980 00	
8506 30 000 00	ვერცხლისწყლის ოქსიდის ბატარეები  ვერცხლისწყლის ოქსიდის გალვანური ელემენტები და ბატარეები (გარდა დამჯდარი)
	ვერცხლის ოქსიდის გალვანური ელემენტები გარე მოცულობით ნაკლები ან 300-მდე სმ <sup>3</sup>
8506 40 000 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით ლილაკი ბატარეები ვერცხლისწყლის შემცველობით ნაკლები ვიდრე 2% წონით  სხვები
8506 40 000 00	(სხვა) ვერცხლის ოქსიდი გალვანური ელემენტები  გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
8506 60 000 00	ჰაერ-თუთიის გალვანური ელემენტები (გარე მოცულობით ნაკლები ან 300 სმ <sup>3</sup> )  გამდიდრებული ვერცხლისწყლით ლილაკი ბატარეები ვერცხლისწყლის შემცველობით ნაკლები ვიდრე 2% წონით  სხვები
8506 60 000 00	(სხვა) ჰაერ-თუთია ბატარეები  გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
	სხვა გალვანური ელემენტები და ბატარეები



		8506 80 050 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით
		8506 80 800 00	სხვები
2. თუთია-ვერცხლის ოქსიდის დილაკ-აკუმულატორები, ვერცხლისწყლის შემცველობით < 2 % და თუთია-ჰაერის დილაკ-აკუმულატორები, ვერცხლისწყლის შემცველობით < 2 %;	2025	8507 10  8507 20  8507 30  8507 50  8507 60  8507 80	
3. გადამრთველები და რელეები, გარდა ძალიან მაღალი სიზუსტის ენერგოტექნოლოგიის და დანაკარგების საზომი ხელსაწყოების, ასევე მაღალი სიხშირის რადიოსიხშირული გადამრთველების და რელეებისა, რომლებიც გამოყენებულია მონიტორინგისა და კონტროლის ინსტრუმენტებში, თითოეულ ხელსაწყოზე, გადამრთველზე ან რელეზე 20 მგ ვერცხლისწყლის მაქსიმალური შემცველობით;	2020		
		8535 30 100 00	მწვეტარა მექანიზმი
		8535 30 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8535 30 100 00	გადამრთველები ნომინალური დენისთვის 1600 ამპერზე ნაკლები ან ტოლი, ვაკუუმური გათიშვა ამპრაჰვი მოწყობილობის გარეშე (ვაკუუმიანი ჭურჭელი)
		8535 30 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8535 30 100 00	გამთიშვები და გადამრთველები ნომინალური დენისთვის ნაკლები ან ტოლი 1600 ამპერს და სხვა ავტომატური ამპრაჰვი მოწყობილობა, გარდა სითხეში მოთავსებული კონტაქტებისა
		8535 30 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8535 30 100 00	სხვა გათიშვები და გადამრთველები ნომინალური დენისთვის 1600 ამპერზე ნაკლები ან ტოლი



	8535 30 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
	8535 30 100 00	გადამრთველები ნომინალური დენისთვის 1600 ამპერზე მეტი და სხვა არაავტომატური გააქტიურების მოწყობილობით
	8535 30 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
	8535 30 100 00	გადამრთველები ნომინალური დენისთვის 1600 ამპერზე მეტი და სხვა ავტომატური ამპრაჟი მოწყობილობით, გარდა კონტაქტებისა, რომლებიც მოთავსებულია თხევად გარემოში
	8535 30 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
	8535 90 000 00	ამუშავების რეელები გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
	8535 90 000 00	თერმული ან ინდუქციური რეელები გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
	8535 90 000 00	მაღალი მგრძობელობის რეელები, ლამინირებული ბირთვით, ინვერსიული მონოპოლით, რომელიც შექმნილია ექსკლუზიურად სატელეფონო მოწყობილობებისთვის
	8535 90 000 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
	8535 90 000 00	მეორადი ელექტრომაგნიტური რეელები, რომლებიც იკვებება ექსკლუზიურად დენის ან/და ძაბვის ტრანსფორმატორებით
	8535 90 000 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		ავტომატური დიფერენციალური რეელები, 60 ამპერამდე დიფერენციალური დაცვით 300 მილიამპერამდე



	8535 90 000 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8535 90 000 00	რეგულაციები, გარდა 8535.90.04, 8535.90.05, 8535.90.06, 8535.90.13 და 8535.90.14 ქვესათაურებში ჩამოთვლილისა.  გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00  8536 41 900 00  8536 49 000 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00  8536 41 900 00	დინამიკებისათვის  გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00  8536 41 900 00	6 და 12-ვოლტიანი სოლენოიდები, ავტომობილების გამშვები ძრავებისთვის  გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00  8536 41 900 00  8536 49 000 00	თერმული ან ინდუქციური  გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00  8536 41 900 00	სერტიფიცირებულია თვითმფრინავებისთვის  გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
		მაღალი მგრძობელობა, ლამინირებული ბირთვით, ინვერტორული მონოპოლით, შექმნილი და სერტიფიცირებული სატელეფონი



	8536 41 100 00	აღჭურვილობისთვის
	8536 41 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00	ელექტრომაგნიტური მეორადი, იკვებება ექსკლუზიურად დენის ან/და ძაბვის ტრანსფორმატორებით
	8536 41 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00	ავტომატური დიფერენციალი, 60 ამპერამდე დიფერენციალური დაცვით 300 მილიამპერამდე
	8536 41 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00	ფოტოელექტრული რელეები
	8536 41 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00	მიმართულების ინდიკატორები მანევრირების ინდიკატორის განათებისთვის, საავტომობილო გამოყენებისთვის
	8536 41 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00	გაშვების ფუნქციებისთვის, გარდა 8536.41.02 პუნქტში მოყვანილი ფუნქციებისა
	8536 41 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 41 100 00	მექანიკური ან ელექტრული გადატვირთვის მრავალჯერადი კონტაქტის დაბლოკვის დამხმარე რელეები 60 ამპერზე ნაკლები ან ტოლი
	8536 41 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები



		8536 41 100 00	სხვა
		8536 41 900 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8536 49 000 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვების ფუნქციებისათვის
		8536 49 000 00	თერმული ან ინდუქციური გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8536 49 000 00	ელექტრომაგნიტური მეორადი, იკვებება ექსკლუზიურად დენის ან/და ძაბვის ტრანსფორმატორებით გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8536 49 000 00	ავტომატური დიფერენციალი, 60 ამპერამდე დიფერენციალური დაცვით 300 მილიამპერამდე გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8536 49 000 00	მრავალკონტაქტური ბლოკის დამხმარე რელეები, ხელით ან ელექტრული გადატვირთვა, 60 ამპერზე ნაკლები ან ტოლი და მაქსიმალური ძაბვა 480 ვოლტი გამდიდრებული ვერცხლისწყლით სხვები
		8536 49 000 00	სხვა გამდიდრებული ვერცხლისწყლით



		სხვები
	8536 50 030 00 8536 50 190 00	შემდეგ ქვესათაურებში შეტანილი გადამრთველების გარდა: 8536.50.05, 8536.50.06, 8536.50.07, 8536.50.10, 8536.50.11 და 8536.50.15  გამდიდრებული ვერცხლისწყლით
	8536 50 800 00	სხვები
	8536 50 030 00  8536 50 050 00  8536 50 110 00  8536 50 150 00  8536 50 190 00  8536 50 800 00	სერთიფიცირებულია თვითმფრინავისათვის  გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 50 030 00  8536 50 050 00  8536 50 110 00  8536 50 150 00  8536 50 190 00  8536 50 800 00	გადამრთველები, სითხეების წნევით დონის კონტროლისთვის სარეცხი მანქანებში საშინაო მოხმარებისთვის  გამდიდრებული ვერცხლისწყლით  სხვები
	8536 50 030 00	



	<p>8536 50 050 00</p> <p>8536 50 110 00</p> <p>8536 50 150 00</p> <p>8536 50 190 00</p> <p>8536 50 070 00</p> <p>8536 50 800 00</p>	<p>თერმოელექტრული ავტომატური გადამრთველები ფლორესცენტური ნათურების ან მილების გამონადენის დასაწრეტად</p> <p>გამდიდრებული ვერცხლისწყლით</p> <p>სხვები</p>
	<p>8536 50 030 00</p> <p>8536 50 050 00</p> <p>8536 50 110 00</p> <p>8536 50 190 00</p> <p>8536 50 800 00</p>	<p>გადამრთველები, შექმნილი და დამოწმებული ექსკლუზიურად რადიოს ან ტელევიზიისთვის, გარდა 8536.50.15 სექციაში შეტანილისა</p> <p>გამდიდრებული ვერცხლისწყლით</p> <p>სხვები</p>
	<p>8536 50 050 00</p> <p>8536 50 110 00</p> <p>8536 50 190 00</p>	<p>მოშვებული ან დაჯგუფებული გადამრთველები, დილაკებით მოქმედი, წონით 250 გრამამდე, ან ერთი ან რამდენიმე დილაკით ან კლავიშებიანი გადამრთველები, შექმნილი და სერტიფიცირებული ექსკლუზიურად ელექტრონიკისთვის, გარდა 8536.50.15 სექციაში შეტანილისა</p> <p>გამდიდრებული ვერცხლისწყლით</p> <p>სხვები</p>



		8536 50 070 00	
		8536 50 800 00	
		8536 50 030 00	
		8536 50 050 00	რამპის ან ჯაჭვით ასანთები ტიპის განათების ჩამრთველები; გამშვები ღილაკი; შექმნილია და სერტიფიცირებული ექსკლუზიურად
		8536 50 110 00	საავტომობილო გამოყენებისთვის
		8536 50 150 00	გამდიდრებული ვერცხლისწყლით
		8536 50 190 00	სხვები
		8536 50 800 00	
თერმოსტატები		9032 10 000 01	ელექტრონული თერმოსტატები
			სხვა თერმოსტატები
		9032 10 200 00	
		9032 10 800 00	ვერცხლისწყლის შემცველობით
			სხვები
4. მაღიან მაღალი სიზუსტის ენერგოტექნოლოგიისა და დანაკარგების საზომი ხელსაწყოები და მაღალი სიხშირის რადიოსიხშირული გადამრთველები და რელეები, რომლებიც გამოყენებულია მონიტორინგისა და კონტროლის ინსტრუმენტებში, თითოეულ ხელსაწყოზე, გადამრთველზე ან რელეზე ვერცხლისწყლის მაქსიმალური შემცველობით 20 მგ (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი გამოყენება ხდება კვლევისა და განვითარების მიზნებისთვის). 1 (შენიშვნა)	2025		
5. კომპაქტური ლუმინისცენტური ნათურები (CFL) ≤ 30 ვატი, რომლებიც გამოიყენება საერთო განათების მიზნით, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეული ნათურის სანათურში 5 მგ-ს აჭარბებს;	2020	8539 31 100 00	განმმუხტავი ნათურები, ფლუორესცენტური და ცხელი კათოდი
		8539 31 900 00	კომპაქტური ფლუორესცენტური ნათურები (CFL) ზოგადი განათებისათვის
			CFL 30 ვატზე ნაკლები ვერცხლისწყლის შემცველობით არაუმეტეს 5 მგ თითო ნათურა



			სხვა CFL-ები
6. კომპაქტური ლუმინისცენტური ნათურები (CFL), რომლებიც გამოიყენება საერთო განათების მიზნით, სადაც > 30 ვატი;	2026	8539 31 8539 32 8539 39	
7. კომპაქტური ლუმინისცენტური ნათურები ინტეგრირებული ბალასტით (CFL.i), ≤ 30 ვატი, რომლებიც გამოიყენება საერთო განათების მიზნით, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეული ნათურის სანათურში 5 მგ-ს არ აჭარბებს;	2025	8539 31 8539 32 8539 39	
8. კომპაქტური ლუმინისცენტური ნათურები არაინტეგრირებული ბალასტით (CFL.ni), ≤ 30 ვატი, რომლებიც გამოიყენება საერთო განათების მიზნით, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეული ნათურის სანათურში არის არაუმეტეს 5 მგ;	2026	8539 31 8539 32 8539 39	
9. გრძივი ლუმინისცენტური ნათურები (LFL), რომლებიც გამოიყენება საერთო განათების მიზნით:  ა) ტრიფოსფორი ≤ 60 ვატი, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეულ ნათურაში 5 მგ-ს აჭარბებს;  ბ) ჰალოფოსფატი ფოსფორი ≤ 40 ვატი, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეულ ნათურაში 10 მგ-ს აჭარბებს.	2020	8539 31 100 00 8539 31 900 00 8539 32 900 00 8539 31 900 00	ხაზოვანი ფლუორესცენტური ნათურები (LFLs) ზოგადი განათებისთვის  ტრიფოსფორი 60 ვატზე ნაკლები ვერცხლისწყლის შემცველობით არაუმეტეს 5 მგ ნათურაზე  ჰალოფოსფატი ფოსფორი 40 ვატზე ნაკლები ვერცხლისწყლის შემცველობით არაუმეტეს 10 მგ ნათურაზე
10. გრძივი ლუმინისცენტური ნათურები (LFL), რომლებიც გამოიყენება საერთო განათების მიზნით:  ა) ჰალოფოსფატი ფოსფორი ≤ 40 ვატი, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეულ ნათურაში არის არაუმეტეს 10 მგ  ბ) ჰალოფოსფატი ფოსფორი > 40 ვატი	2026	8539 31 8539 32 8539 39	სხვა
11. გრძივი ლუმინისცენტური ნათურები (LFL), რომლებიც გამოიყენება საერთო განათების მიზნით:		8539 31	



ა) ტრიფოსფორი < 60 ვატი, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეულ ნათურაში არის არაუმეტეს 5 მგ;	2027	8539 32	
ბ) ტრიფოსფორი ≥ 60 ვატი, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეულ ნათურაში არის არაუმეტეს 5 მგ;		8539 39	
ც) ტრიფოსფორი ≥ 60 ვატი, სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეულ ნათურაში აჭარბებს 5 მგ-ს			
12. არაგრძობივი ლუმინისცენტური ნათურები (NFLs) (მაგ., U-ს მსგავსი და წრიული), რომლებიც გამოიყენება საერთო განათების მიზნით:	2027	8539 31	
ა) ტრიფოსფორი, ყველა სიმძლავრის		8539 32	
		8539 39	
ბ) ჰალოფოსფატური ფოსფორი, ყველა სიმძლავრის	2026	3206 50 000 00	
13. მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ორთქლის ნათურები (HPMV) საერთო განათების მიზნით;	2020	8539 32 200 00	ვერცხლისწყლის ან ნატრიუმის ნათურები; ლითონის ჰალოგენური ნათურები
		8539 32 900 00	მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურები ზოგადი განათებისათვის
14. ვერცხლისწყალი ცივი კათოდების ლუმინისცენტურ ნათურებში და გარე განათების ელექტროდული ნათურები (CCFL და EEFL) ელექტრონული ჩვენებისთვის;	2020		ელექტრონიკის განმმუხტავი ნათურები, გარდა ფლოუორესცენტური (ცხელი კათოდი), ვერცხლისწყლის ან ნატრიუმის, ლითონის ჰალოგენური ან ულტრაიისფერი ნათურებისა
ა) მოკლე (≤ 500 მმ), სადაც ვერცხლისწყლის შემცველობა თითოეულ ნათურაში 3.5 მგ-ს აჭარბებს;		8539 39 200 00	ცივი კათოდური ფლოუორესცენტური ნათურები და გარე ელექტროდის ფლოუორესცენტური ნათურები (CCFL და EEFL) ელექტრონული ეკრანებისთვის; მოკლე სიგრძე (500 მმ-ზე ნაკლები) ვერცხლისწყლის შემცველობით არაუმეტეს 3,5 მგ ნათურაზე.
			ცივი კათოდური ფლოუორესცენტური ნათურები და





16. კოსმეტიკა (1 ppm-ზე მეტი ვერცხლისწყლის შემცველობით), მათ შორის, კანის გამაღიავებელი საპნები და კრემები, გარდა თვალის არის კოსმეტიკისა, სადაც ვერცხლისწყალი გამოყენებულია როგორც დამცავი საშუალება და როდესაც ეფექტური და უსაფრთხო შემცველი დამცავი საშუალება ხელმისაწვდომი არ არის (დათქმა).

2020

**დათქმა:** არ იგულისხმება ის კოსმეტიკური საშუალებები, საპნები ან კრემები, რომელიც შეიცავს კვალის სახით არსებულ ვერცხლისწყალს.

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე მეტი და ვერცხლისწყალი გამოიყენება როგორც კონსერვანტი

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე მეტი და ვერცხლისწყალი არ გამოიყენება როგორც კონსერვანტი

3304  
30 000  
00

მანიკურის ან პედიკურის კოსმეტიკური საშუალება

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე მეტი

სხვა

3304  
91 000  
00

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

3304  
99 000  
00

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე მეტი

კანის კრემები

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები



ან ტოლი

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე მეტი

სხვა

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები  
ან ტოლი

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები  
ან ტოლი

3304  
99 000  
00

3401  
11 000  
00

ტულეტის გამოყენებისთვის (მედიკამენტების  
ჩათვლით)

საპნები ტულეტისთვის (მათ შორის სამკურნალო)

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები  
ან ტოლი



ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე მეტი

3401  
19 000  
00

სხვა

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

საპონი სხვა ფორმით

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

3401  
20 100  
00

3401  
20 900  
00

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

ორგანული ზედაპირულად აქტიური პროდუქტები და პრეპარატები კანის დასაბანად, სითხის ან კრემის სახით და გასაყიდად, საპნის შემცველობით ან გარეშე

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

ვერცხლისწყლის შემცველობით 1 ppm-ზე ნაკლები ან ტოლი

3401  
30 000  
00

3304



<p>17. კოსმეტიკა, მათ შორის, კანის გამაღივებელი საპნები და კრემები, გარდა თვალის არის კოსმეტიკისა, სადაც ვერცხლისწყალი გამოყენებულია როგორც დამცავი საშუალება და როდესაც ეფექტური და უსაფრთხო შემცველი დამცავი საშუალება ხელმისაწვდომი არ არის (დათქმა)</p> <p>დათქმა: არ იგულისხმება ის კოსმეტიკური საშუალებები, საპნები ან კრემები, რომელიც შეიცავს კვალის სახით არსებულ ვერცხლისწყალს.</p>	2025	<p>10 000 00</p> <p>3304 20 000 00</p> <p>3304 30 000 00</p> <p>3304 91 000 00</p> <p>3401 11 000 00</p> <p>3401 19 000 00</p> <p>3401 20 100 00</p> <p>3401 20 900 00</p> <p>3401 30 000 00</p>	
<p>18. პესტიციდები, ბიოციდები და ადგილობრივი მოქმედების ანტისეპტიკური საშუალებები</p>	2020		
<p>პესტიციდები, ბიოციდები და აქტუალური ანტისეპტიკები</p>			
<p>სხვა მედიკამენტები, რომლებიც შედგება შერეული ან შეურეველი პროდუქტებისგან თერაპიული ან პროფილაქტიკური გამოყენებისთვის, საცალო გასაყიდად</p>			
		<p>3004 90 000 00</p>	<p>შეიცავს ანტიგენებს ან ჰიალურონის მჟავას ან მის ნატრიუმის მარილს</p> <p>[აქტუალური ანტისეპტიკები] შეიცავს ვერცხლისწყლის ნაერთებს</p>
<p>ინსექტიციდები, როდენტოციდები, ფუნგიციდები, ჰერბიციდები, გაღივების საწინააღმდეგო პროდუქტები და მცენარეების ზრდის რეგულატორები, სადებიინფექციო საშუალებები და მსგავსი პროდუქტები</p>			

		<p>3808 52 000 00</p>	
		3808	



59  
000  
00

3808  
52  
000  
00

3808  
59  
000  
00

3808  
61  
000  
00

3808  
62  
000  
00

3808  
69  
000  
00

საქონელი, რომელიც შეიცავს  
ნივთიერებების მთელ რიგს, როგორც  
მიითითებულია 38-ე თავის  
ქვესათაურების შენიშვნაში, რომელთაგან



ერთი არის ვერცხლისწყლის ნაერთი

მითითებული საქონელი, რომელიც  
შეიცავს რაიმე არომატულ ან  
მოდიფიცირებულ არომატულ  
პესტიციდს

ვერცხლისწყლის ნაერთების შემცველი

არ შეიცავს ვერცხლისწყლის ნაერთებს

3808  
91  
100  
00

3808 სხვა პესტიციდები  
91  
200  
00

3808 ვერცხლისწყლის ნაერთების შემცველი  
91  
300  
00

3808 არ შეიცავს ვერცხლისწყლის ნაერთებს  
91  
400  
00

3808  
91  
900  
00

ინსექტიციდები

ვერცხლისწყლის ნაერთების შემცველი

არ შეიცავს ვერცხლისწყლის ნაერთებს

3808  
92  
100  
00

3808  
92  
200  
00

3808 ფუნგიციდები  
92  
300  
00

3808 ვერცხლისწყლის ნაერთების შემცველი  
92  
400



00	
3808	არ შეიცავს ვერცხლისწყლის ნაერთებს
92	
500	
00	
3808	
92	
600	
00	
3808	ჰერბიციდები, მცენარეების ზრდის
92	საწინააღმდეგო პროდუქტები და
900	რეგულატორები
00	
	ვერცხლისწყლის ნაერთების შემცველი
	არ შეიცავს ვერცხლისწყლის ნაერთებს
	სხვა
3808	
93	
110	
00	ვერცხლისწყლის ნაერთების შემცველი
3808	
93	
130	
00	არ შეიცავს ვერცხლისწყლის ნაერთებს
3808	
93	
150	
00	
3808	
93	
170	
00	
3808	
93	
210	
00	
3808	
93	
230	
00	
3808	
93	
270	
00	
3808	
93	
300	
00	
3808	
93	
900	
00	



			3808 94 100 00	
			3808 94 200 00	
			3808 94 900 00	
			3808 94 900 00	
			3808 99 100 00	
			3808 99 900 00	

**მზომი ხელსაწყოები/მოწყობილობები**

19. შემდეგი არაელექტრონული ხელსაწყოები (გარდა იმ არაელექტრონული საზომი ხელსაწყოებისა, რომლებიც დამონტაჟებულია მასშტაბურ მოწყობილობებზე ან გამოიყენება მაღალი სიზუსტის გაზომვებისთვის, როდესაც შესაბამისი ალტერნატიული საშუალებები ვერცხლისწყლის შემცველობის გარეშე ხელმისაწვდომი არ არის):	2020			
--	------	--	--	--

ა) ბარომეტრები;		9025 80 000 01	სხვა ინსტრუმენტები, მათ შორის ბარომეტრები
		9025 80 200 00	
		9025	ვერცხლისწყლის შემცველი ბარომეტრები



	80 400 00	სხვა
	9025 80 800 00	
ბ) ჰიგრომეტრები;	9025 80 000 01	სხვა ინსტრუმენტები: ჰიგრომეტრები
	9025 80 400 00	ჰიგრომეტრები ვერცხლისწყლის შემცველი
	9525 80 800 00	სხვა
გ) მანომეტრები;	9026 20 000 01	
	9026 20 200 00	ინსტრუმენტები და აპარატურა წნევის საზომი ან კონტროლისთვის, მანომეტრები
		ვერცხლისწყლის შემცველი მანომეტრები
	9026 20 400 00	სხვა
	9026 20 800 00	
დ) თერმომეტრები;	9025 11 000 01	
	9025 11 200 00	
	9025 11 800 00	კლინიკური თერმომეტრები, სითხით შევსებული, პირდაპირი წაკითხვისათვის
		ვერცხლისწყლის შემცველობით
	9025 11 800 00	სხვა
	9025 11 000 01	



		სითხით სავსე თერმომეტრები, პირდაპირი კითხვისთვის, არ არის კომბინირებული სხვა ინსტრუმენტთან, გარდა კლინიკური თერმომეტრებისა
		ვერცხლისწყლის შემცველობით
	9025 11 200 00	სხვა
	9025 19 000 01	
	9025 19 000 09	
ე) სპიგომანომეტრები	9018 90 100 00	სხვა ინსტრუმენტები და მოწყობილობები, მათ შორის სფიგომანომეტრები, არტერიული წნევის საზომი მოწყობილობები:
		სპიგომანომეტრები ვერცხლისწყლის შემცველობით
	9018 19 100 00	სხვა
20. ტენზომეტრები, რომლებიც გამოიყენება პლეთიზმოგრაფებში	2025	9031 80
21. შემდეგი ელექტრული და ელექტრონული საზომი მოწყობილობები (გარდა იმ მოწყობილობებისა, რომლებიც დამონტაჟებულია მსხვილგაბარტიან მოწყობილობებზე ან გამოიყენება მაღალი სიზუსტის გაზომვებისთვის, როდესაც შესაბამისი ალტერნატიული საშუალებები ვერცხლისწყლის შემცველობის გარეშე ხელმისაწვდომი არ არის):	2025	
ა) დნობის წნევის გადამყვანები, დნობის წნევის გადამცემები და დნობის წნევის სენსორები 1		
(შენიშვნა)		
22. ვერცხლისწყლის ვაკუუმტუმბოები	2025	8414 10
23. საბურავების ბალანსირების დაზგები და ბორბლების წონები	2025	9031 10 000 00
		საბურავების ბალანსირების დაზგები
		3701
		3702



24. ფოტოფირი და ფოტოქადალდი	2025	3703	
		3704	
		3705	
25. საწვავი კოსმოსური თანამგზავრებისთვის და კოსმოსური ხომალდებისთვის 1 (შენიშვნა)	2025		

**შენიშვნა:**

1. ეს პროდუქტი კონვენციის დანართ „A“-ს (ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტები) დაემატა 2022-2023 წლებში. ამ ეტაპზე აღნიშნული პროდუქტისთვის ცალკე სეს ესნ კოდი განსაზღვრული არ არის. ამ პროდუქტისთვის ცალკე სეს ესნ კოდის მინიჭების საკითხის განხილვა მოხდება დამატებით.

2. ცხრილში შეტანილი საქონელი ამ წესის მიხედვით რეგულირებას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ შეიცავს ვერცხლისწყალს ან ვერცხლისწყლის ნაერთს.

**დანართი №2**

**ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტისთვის წინასწარი დასაბუთებული თანხმობის ფორმა**

1. იმპორტიორი/ექსპორტიორი/ტრანზიტის განმახორციელებელი		2. თანხმობა №		
3. დანიშნულების ქვეყანა		4. წარმოშობის ქვეყანა		
5. ვერცხლისწყლის აღწერა		6. გამოყენების სახე	7. „სეს ესნ“ კოდი	8. ზომის ერთეული
				9. რაოდენობა
10. ხელშეკრულება:		11. ტრანსპორტის სახეობა		
12. ნებადართული გამოყენება(ები):		13. თანხმობის ვადა:		
14. თანხმობის გამცემი ორგანოს დასახელება უფლებამოსილი პირის სახელი და ხელმოწერა		15. გაცემის თარიღი /ბეჭედი/		



## ინსტრუქცია

### ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტისთვის წინასწარი დასაბუთებული თანხმობის ფორმის შევსება

ვერცხლისწყლის იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტისთვის წინასწარი დასაბუთებული თანხმობის ფორმის შესაბამისი გრაფები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) გრაფა №1 – „იმპორტიორი/ექსპორტიორი/ტრანზიტის განმახორციელებელი“ – თუ ვერცხლისწყლის იმპორტიორი/ექსპორტიორი/ტრანზიტის განმახორციელებელი იურიდიული პირია – სამართლებრივი ფორმა, დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და მისამართი. ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი;

ბ) გრაფა №2 – „თანხმობის №“ – თანხმობის რიგითი ნომერი, რომელიც მიენიჭება თანხმობის გამცემის მიერ;

გ) გრაფა №3 – „დანიშნულების ქვეყანა“ – იმ ქვეყნის დასახელება, რომელიც იღებს ვერცხლისწყალს;

დ) გრაფა №4 – „წარმოშობის ქვეყანა“ – ვერცხლისწყლის წარმოშობის ქვეყნის დასახელება;

ე) გრაფა №5 – „ვერცხლისწყლის აღწერა“ – ვერცხლისწყლის აღწერილობა (CAS №, ქიმიური დასახელება, ქიმიური ფორმულა, დასახელება ინგლისურ ენაზე და ა. შ.). ;

ვ) გრაფა №6 – „გამოყენების სახე“ – თანხმობას დაქვემდებარებული ვერცხლისწყლის გამოყენების მიზანი, დანიშნულება (გამოყენების ხერხი, მიზანი, სახე, დრო, ადგილი, საწყობის მისამართი);

ზ) გრაფა №7 – „სეს ესნ“ კოდი – ვერცხლისწყლის სასაქონლო კოდი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 11-ნიშნა დონეზე;

თ) გრაფა №8 – „ზომის ერთეული“ – ვერცხლისწყლის რაოდენობის ზომის ერთეული ;

ი) გრაფა №9 – „რაოდენობა“ – ვერცხლისწყლის რაოდენობა, გრაფაში „ზომის ერთეული“ მითითებული ერთეულის შესაბამისად;

კ) გრაფა №10 – „ხელშეკრულება“ – ვერცხლისწყლის მიწოდების ხელშეკრულების ნომერი, გაფორმების თარიღი და სხვ;

ლ) გრაფა №11 – „ტრანსპორტის სახეობა“ – ტრანსპორტის ის სახეობა, რომლითაც გადაიზიდება ვერცხლისწყალი;

მ) გრაფა №12 – „ნებადართული გამოყენება(ები)“ – ვერცხლისწყლის დაშვებული/ნებადართული გამოყენების აღწერილობა და უსაფრთხოების პირობები, ნარჩენების დამუშავების ჩათვლით;

ნ) გრაფა №13 – „თანხმობის ვადა“ – მიეთითება თანხმობის მოქმედების ვადა;

ო) გრაფა №14 – „თანხმობის გამცემი ორგანოს დასახელება, უფლებამოსილი პირის სახელი და ხელმოწერა“ – თანხმობის გამცემი ორგანოს წარმომადგენლის სახელი; უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, რომელიც დასტურდება ბეჭდით;

პ) გრაფა №15 – „გაცემის თარიღი/ბეჭედი“ – თანხმობის გაცემის თარიღი/ბეჭედი.

